

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

*ხელნაწერის უფლებით*

ელდარ ბუბულაშვილი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია  
ეგზარქოსობის პერიოდში

სპეციალობა: 07.00.01 – საქართველოს ისტორია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2006

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში

ოფიციალური ოპონენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი *ოთარ ჯანელიძე* (07.00.01)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი *სერგო ვარდოსანიძე* (07.00.01)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი *დიმიტრი შველიძე* (07.00.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 9 ივნისს „----“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან არსებულ სადისერტაციო საბჭოს № H 07.02№2 სხდომაზე. მისამართი: თბილისი 0179. პ. მელიქიშვილის 10.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. მისამართი: თბილისი 0179 პ. მელიქიშვილის 10.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის „----“ „----“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული

მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი

ქეთევან ხუციშვილი

## სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**პრობლემის აქტუალობა.** ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების კვლევა მეტად აქტუალურია. ამ მხრივ, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ევზარქოსობის პერიოდში ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესწავლა. საკვლევი პერიოდი, მომხდარი მოვლენების თვალსაზრისით, ტრაგიკული ეტაპია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისისათვის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების სახით იყო წარმოდგენილი. აღმოსავლეთ საქართველო მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველო ქუთაისში არსებულ აფხაზთა ანუ ლიხთ-იმერეთის კათალიკოსს ემორჩილებოდა. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოს გაუქმებას საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალური ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებაც მოჰყვა. ერთმორწმუნეობის მიუხედავად, რუსეთის ცარიზმმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა საქართველოს ეკლესიას. განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად იგი თავისი პოლიტიკური ინტერესების სამსახურში ჩააყენა. რუსეთის სასულიერო უწყების გარდაქმნები შეეხო საქართველოს ეკლესიის თითქმის ყველა მხარეს, დაწყებული შესამოსელით და დამთავრებული წირვა-ლოცვით. გატარებული ღონისძიებებით საქართველოს ავტოკეფალიაწართმეული ეკლესია

სია, რომელიც საეგზარქოსოს სახით იყო წარმოდგენილი, რუსეთის სინოდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა. საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობაში ხელისუფლების მიერ გატარებული ყველა გარდაქმნა მიზნად ისახავდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული საეკლესიო ტრადიციების მოსპობას, რომლითაც საქართველოს ეკლესია მართლმადიდებლურ სამყაროში თავის თვითმყოფადობას ინარჩუნებდა.

საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია ქართული ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდია, რომლის ობიექტურად შესწავლის შესაძლებლობა XX ს. 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მართალია, უკანასკნელ პერიოდში საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა რამდენიმე შრომა, მაგრამ მთელი რიგი საკითხები ჯერ კიდევ შეუსწავლელია. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის სწორედ ისეთ საკითხებს აშუქებს, რომელიც დღემდე საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა.

**დისერტაციის მიზანი და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომის უმთავრესი მიზანია მონოგრაფიულად შევისწავლოთ დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ეგზარქოსობის პერიოდში.

საკვლევ თემაზე მუშაობის დროს ჩვენს ამოცანას შეადგენდა წარმოგვედგინა: თუ რა როლს ასრულებდა საქართველოს ეკლესია ჯერ კიდევ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში; თუ როგორი მეთოდებითა და საშუალებებით იბრძოდნენ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ რუსი მოხელეები საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალი-

ის გაუქმებისათვის; სინოდისადმი დაქვემდებარების მიზნით, როგორ მოახდინა რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს თვითმყოფადი ეკლესიის რეორგანიზაცია; რა პოზიცია დაიკავა ქართველმა სამღვდელოებამ და საზოგადოებამ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ და როგორ იცავდნენ ისინი დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოს ეკლესიის უფლებებს, როგორ იბრძოდნენ უძველესი საეკლესიო სიწმინდეთა შესანარჩუნებლად. გარდა ამისა გვსურდა გაგვეჩვენა, თუ რა საეკლესიო პოლიტიკას ატარებდა რუსეთის ცარიზმი საქართველოში. ამ მიზნით, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, შევისწავლეთ საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა. მიუუთითეთ მათი საქმიანობის დადებით და უარყოფით მხარეებზე. აღნიშნულთან ერთად, გვსურდა გვეჩვენებინა, თუ როგორი კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ავტოკეფალისტთა მოძრაობაზე XX ს-ის დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, რომელიც შემდგომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენით დამთავრდა. ჩვენი სურვილი იყო აგრეთვე, წარმოგეჩინა, თუ რა როლს ასრულებდა ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკაში საქართველოში განხორციელებული სამისიონერო და საგანმანათლებლო საქმიანობა.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგების მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: 1) წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ნაშრომში შესწავლილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველი ათეულის პოლიტიკური და საეკლესიო ვითარების ფონზე. აქვე ყურადღება გამახვილებულია ბრძოლის იმ მეთოდებზე, რომელთაც რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის იყენებდა.

2) საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის სა-

კითხთან დაკავშირებით, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, დაწვრილებითაა შესწავლილი ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დაარსებული ახალი მმართველობის ორგანოების სასულიერო დიკასტერიისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფუნქცია, მათი როლი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციაში.

3) ნაშრომში დიდი ადგილი უკავია რეორგანიზაციის დროს ახლად ჩამოყალიბებული საეკლესიო თანამდებობების: ეგზარქოსის, ვიკარ-ეპისკოპოსის, ბლადონინის (კეთილმოწესე) და სხვ. დამკვიდრებას. გარკვეულია მათი წარმომავლობა და ქართულ სინამდვილეში მისი როლი.

4) გაირკვა, რომ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. მისი გარდაქმნის პირველი ეტაპი ვარლამ ეგზარქოსის სახელს უკავშირდება და მოიცავს 1811-1814 წლებს. მეორე ეტაპზე რეორგანიზაცია 1814-1815 წლებში განხორციელდა, მთავარეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის მიერ, რომლის დროსაც დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. მესამე ეტაპი, რომელიც 1818 წელს დაიწყო, დაკავშირებულია ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის სახელთან. მის მიერ შემუშავებულმა საეკლესიო მართვის სისტემამ XIX საუკუნის 80-იან წლებამდე იარსება. 1885 წელს რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით მოხდა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაცია, რომელმაც უცვლელი სახით 1917 წლამდე იარსება.

5) ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დასავლეთ საქართველოში განხორციელებულ საეკლესიო გარდაქმნებს. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ახსნილია ის მიზეზები, რომლის გამოც 1814 წელს ქუთაისში არ დაარსდა სასულიერო დიკასტერია.

6) დღემდე უცნობ წყაროებზე დაყრდნობით ნაშ-

რომში დაწერილებითაა შესწავლილი, თუ როგორ მოახდინა რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა.

7. საარქივო მასალებზე დაყრდნობით დადგენილია საეკლესიო შემოსავლის წყაროები, გამოკვეთილია ის მიზეზები, რომლებმაც გაახანგრძლივა საეკლესიო ქონების ხაზინისადმი დაქვემდებარების პროცესი.

8. დისერტაციაში გაშუქებულია, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ თუ როგორ მიიმე მდგომარეობაში ჩავარდა სამონასტრო ცხოვრება. ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებით მოიშალა ქართული სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია და დამკვიდრდა სლავური წეს-განგება.

9. ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა.

10. ახალი საარქივო მასალების საფუძველზე ახლებურადაა გააზრებული, თუ რა როლს ასრულებდა სასულიერო განათლება და სამისიონერო მოღვაწეობა რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკაში.

11. ნაშრომში პირველად არის გაშუქებული ქართველი სამღვდელოების მონაწილეობა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ნაჩვენებია, რომ ქართველი სამღვდელოება აქტიურ მონაწილეობას დებულობდა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყველა გამოსვლაში.

12. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, შესწავლილია თერგდალეულების დეაწლი ქართველთა სარწმუნოებრივი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში. ნაჩვენებია, რომ თერგდალეულებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XIX ს. ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული სასულიერო პირების (ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, ლეონიდე ოქროპირიძე და სხვ.) მსოფლმხედ-

ველობის ჩამოყალიბებაში.

13. ნაშრომში დიდი ადგილი უკავია ქართველი ხალხის ზრუნვის ჩვენებას, სასულიერო სიწმინდეების გადარჩენისათვის. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა XIX ს-ის 80-იან წლებში ქართველი საერო და სასულიერო პირთა ინიციატივით დაარსებულმა საეკლესიო მუზეუმმა.

14. ახლადგამოვლენილი საარქივო მასალების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ XX ს-ის დასაწყისში დაწყებულ ავტოკეფალისტთა მოძრაობაში ერთსულოვნება არ ყოფილა. ავტოკეფალისტთა მცირე ნაწილი რომის კათოლიკურ სამყაროსთან უნიის მომხრე იყო, ზოგი იმედს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქზე ამყარებდა. ზოგი კი ხელსაყრელ პირობებსა და დროს ელოდა მის მისაღწევად. ზოგიერთი ავტოკეფალისტი იმაზეც იყო თანახმა, რომ ეგზარქოსად ქართველი დაენიშნათ.

15. ნაშრომში გარკვეულია სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა დამოკიდებულება ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი.

16. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ, მართალია, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ზოგიერთი წევრი ათეისტურ პოზიციებზე იდგა, მაგრამ მთლიანად პარტია მხარს უჭერდა ავტოკეფალისტთა მოძრაობას, რადგან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა მათ პოლიტიკურ პლატფორმას შეესატყვისებოდა.

17. ახლად გამოვლენილი მასალების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლამ საერთაშორისო მასშტაბის სახე მიიღო, რაშიც დიდი როლი ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა შეასრულა.

**პრობლემის ისტორიოგრაფია და ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.**



საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში საინტერესო გამოკვლევები გამოქვეყნდა, რომელთა შორის აღსანიშნავია ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის, კალისტრატე ცინცაძის, თ. ჟორდანიას, მ. კელენჯერიძის და სხვათა შრომები. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მხოლოდ ათეიზმის კუთხით ხდებოდა რელიგიის ისტორიის საკითხების გაშუქება. მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც ქვეყნდებოდა ცალკეული შრომები, რომლებიც მეტნაკლები სისრულით წარმოაჩენდნენ ეგზარქოსობის პერიოდში საქართველოს ეკლესიის ისტორიას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, მ. ხუციშვილის, მ. გუგუტიშვილის და სხვათა შრომები. XX საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის ცალკეული პერიოდების შესახებ გამოქვეყნდა გამოკვლევები, რომელთა შორის აღსანიშნავია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის, ქ. პავლიაშვილის, გ. როგავას, ს. ვარდოსანიძის, თ. შაკიაშვილის, ნ. პაპუაშვილის, ხ. ქოქრაშვილის, ზ. აბაშიძის, ვ. კიკნაძის, ვ. წვერავას, შ. ჯაფარიძის და სხვათა შრომები. სადისერტაციო ნაშრომში სათანადოდაა დაფასებული იმ მკვლევართა ღვაწლი, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენთვის საინტერესო საკითხების დამუშავებაში.

მრავალფეროვანია დისერტაციის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სიძველეთსაცავთა ფონდებში დაცულ ჩვენს მიერ გამოვლენილ საარქივო მასალებს. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები მოვიპოვეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის (ფ. 488), საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის (ფ. 489), „კავკასიაში მარ-

თლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ (ფ. 493), მეფისნაცვლის კანცელარიის (ფ. 13), კავკასიის სასწავლო ოლქის (ფ. 422), საეკლესიო მუზეუმის (ფ. 147), ეპისკოპოსების: კირიონ საძაგლიშვილის, ლეონიდე ოქროპირიძის და სხვა ფონდებში.

საინტერესო მასალები გამოვლინდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ კ. საძაგლიშვილის, კ. ცინცაძის, ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, თ. ჟორდანიას, ა. ჯორჯაძის, ვ. კარბელაშვილის და სხვ. პირად ფონდებში. მეტად ფასეული აღმოჩნდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივის სინოდის ფონდში დაცული ჩვენს მიერ გამოვლენილი მასალები, რომელიც ძირითადად ეხება კათოლიკოს ანტონ II-ის რუსეთში მოღვაწეობის პერიოდს. აგრეთვე საინტერესოა ეგზარქოს ნიკონის მკვლევლობასთან დაკავშირებული მასალები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1906 წელს რუსეთის სინოდში ქართველ მღვდელმთავართა მონაწილეობით გამართული სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები.

დისერტაციაში აგრეთვე გამოყენებულია მემუარული ხასიათის ლიტერატურა და იმდროინდელი პერიოდული პრესის მასალები. აღნიშნული მასალების ურთიერთშეჯერებამ და ანალიზმა მოგვცა საშუალება, სრულიად ახლებურად წარმოგვეჩინა საქართველოს ეკლესიის ისტორია ეგზარქოსობის პერიოდში.

**დისერტაციის პრაქტიკული დანიშნულება.** დისერტაციაში მოცემული მასალები და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს, სტუდენტობას და ფართო მკითხველ საზოგადოებას.

**ნაშრომის აპრობაცია.** გამოკვლევა შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი და უახლესი

ისტორიის განყოფილებაში, სადაც პერიოდულად ხდებოდა კიდევ მისი ცალკეული ნაწილების აპრობაცია. დისერტაციის ძირითადი დებულებები აპრობირებულია გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში (საქურნალო სტატია, ბროშურა, წიგნი...) და მოხსენების სახით წაკითხულ საინსტიტუტო, საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციებზე, სესიებზე და სიმპოზიუმებზე.

სადისერტაციო ნაშრომმა 2006 წლის 14 თებერვალს გაიარა წინასწარი განხილვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე (ოქმი №2), სადაც ნაშრომი მოწონებულ იქნა და მიეცა რეკომენდაცია შემდგომი მსვლელობისათვის.

**სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავის, 11 პარაგრაფისა და დასკვნისაგან. ნაშრომის საერთო მოცულობა არის 295 ნაბეჭდი გვერდი. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

## **სადისერტაციო ნაშრომის მოკლე შინაარსი**

**შესავალი.** ნაშრომის შესავალ ნაწილში განხილულია თემის აქტუალობა და მისი მნიშვნელობა, სამეცნიერო კვლევის მიზანი და ამოცანები, მოცემულია წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ნაშრომების მიმოხილვა.

**სადისერტაციო ნაშრომის I თავის I პარაგრაფში** - „ცარიზმის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის“ – აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე რუსეთის ცარიზმი დიდ დაინტერესებას იჩენდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. ეს ინტე-

რესი კარგადაა ასახული იმ პოლიტიკურ ურთიერთობებში, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის მე-8 მუხლით, რომელიც რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით იყო შედგენილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მე-8 ადგილი უნდა დაეკავებინა რუსულ ეპარქიებს შორის. ტრაქტატზე ხელმოწერის დროს ქართველმა ელჩებმა, აღნიშნული მუხლის გამო, პროტესტი გამოთქვეს, რადგან ა. ბეზბოროდკოს მიერ შედგენილი პროექტის პირველ ვარიანტში, რომელიც ქართულ მხარესთან იყო შეთანხმებული, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს მე-5 ადგილი უნდა დაეკავებინა პირველხარისხოვან რუს მღვდელმთავრებს შორის. საეკლესიო სამართლით აღნიშნული ვარიანტიც მნიშვნელოვან დარღვევად ითვლებოდა, რადგან რუსეთში, ჯერ კიდევ, პეტრე I-ის დროდან პატრიარქის ინსტიტუტი გაუქმებული იყო და აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების ძალით, ავტოკეფალური საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი გათანაბრებული იყო ეპარქიის მღვდელმთავრებთან. იმ დროისათვის რუსეთის ეკლესიაში არ იყო ისეთი სამღვდლო პირი, რომელიც იერარქიულად საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქს გაუტოლდებოდა. ქართველი დიპლომატების პროტესტის მიუხედავად, პროექტის მეორე ვარიანტი ტრაქტატში უცვლელად იქნა შეტანილი. რუსი საეკლესიო მკვლევრები გეორგიევსკის ტრაქტატში არსებული მუხლის საფუძველზე საქართველოს ეკლესიას რუსული ეკლესიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ.

ქართლ-კახეთის გაუქმებისთანავე ცარიზმმა აქტიური ბრძოლა დაიწყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის. ამკარა იყო, რომ სახელმწიფოებრიობა დაკარგულ ქვეყანაში ხელისუფლება ვერ შეეგუებოდა დამოუკიდებელი, ავტოკეფა-

ლური ეკლესიის არსებობას. რუსეთის ხელისუფალთა მიზანი ნათელი იყო. მათ სურდათ საქართველოს ეკლესიაში ეროვნული სულისკვეთების აღმოფხვრა და მისი გადაქცევა რუსეთის სინოდზე დაქვემდებარებულ ერთ-ერთ ეპარქიად. დასახული მიზნიდან გამომდინარე, ისინი ყოველგვარი ხერხების გამოყენებით ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის გაუქმებას.

ნაშრომში წყაროებზე დაყრდნობით იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე წარმოჩენილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი დამსახურება იყო, რომ სამეფოს გაუქმების შემდეგ საქართველოს ეკლესიამ 10 წლის განმავლობაში დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

სამეფოს გაუქმებისთანავე რუსი მოხელეები: კ. კნორინგი, ლაზარევი, პ. ციციანოვი და სხვები ყოველგვარი მორიდების გარეშე აქტიურად ერეოდნენ საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში. ხშირად ისინი ეკლესიას და მის მწყემსმთავარს თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ. რუსი მოხელეების დაჟინებული მოთხოვნით, 1802 წლის 12 აპრილს ანტონ კათოლიკოსმა და ქართველმა მღვდელმთავრებმა თბილისის სიონში შეკრებილი ქართველი საზოგადოება რუსეთის ერთგულებაზე დააფიცა. თუმცა, როგორც დასტურდება, ქართველი სამღვდლოება სამეფოს გაუქმებით უკმაყოფილო ყოფილა, მაგრამ აშკარად ვერ გამოდიოდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდა მთავარმართებელი პ. ციციანოვი, რომელმაც საერო საქმეებთან ერთად ეკლესიის მმართველობაც თავის გავლენის ქვეშ მოაქცია. იგი უნდობლად უყურებდა ანტონ II-ს და მის ყოველ მოქმე-

დებას აკონტროლებდა. პ. ციციანოვი კათოლიკოსს უფლებას არ აძლევდა, თავისუფალ ეპარქიებში ახალი ეპისკოპოსი აერჩია. გამოთავისუფლებულ ეპარქიებს იგი აუქმებდა და ამ გზით ამცირებდა მის რაოდენობას, რაც საბოლოოდ ავტოკეფალიის გაუქმებას გამოიწვევდა. საეკლესიო მმართველობაში არეგ-დარევის შეტანის მიზნით, ხელისუფლებამ სასულიერო პირებს შორის მტრობისა და შუღლის ჩამოგდება დაიწყო. სამღვდელთა ნაწილი კი ავტორიტეტის შელახვის მიზნით კათოლიკოს ანტონ II-ს დაუპირისპირეს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდა ტფილელი მიტროპოლიტი არსენი, რომელმაც თავისი ამბიციებით და ამპარტავნებით ეკლესიაში დიდი არეულობა შეიტანა და საქართველოს ეკლესიის მწვემსმთავარს პრობლემები შეუქმნა. მართალია, საეკლესიო სასამართლომ არსენ ტფილელი დამნაშავედ ცნო, მაგრამ ხელისუფლებისაგან გათამამებული მღვდელმთავარი უკან არ იხევდა.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებები განახორციელა მთავარმართებელმა აღ. ტორმასოვმა (1809-1811), რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ჩამოსვლისთანავე მან დაწვრილებით შეისწავლა ეკლესიაში შექმნილი ვითარება, შემდგომ კი ანტონ კათოლიკოსს დაუკავშირდა და კატეგორიულად დაუსვა საკითხი, რომ ეკლესიაში არსებული უწესრიგობის მოგვარების მიზნით უნდა მომხდარიყო მისი ისეთი რეორგანიზაცია, რომელიც კათოლიკოსის უფლებას არ შელახავდა. ანტონ II დარწმუნდა, რომ შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში აუცილებელი იყო ეკლესიის მმართველობის შეცვლა, ვინაიდან სამოქალაქო მმართველობაში მომხდარი ცვლილებანი ეკლესიაზეც გარკვეულ გავლენას ახდენდა და ხშირ შემ-

თხვევაში, გაუგებრობას იწვევდა. ამ მიზეზით ანტონ II შესაძლებლად მიიხნევა ეკლესიაში გარკვეული ცვლილებების გატარებას. 1809 წლის 6 ივლისს მთავარმართებელი ალ. ტორმასოვი სინოდის ობერპროკურორ ალ. გოლიცინისადმი წარდგენილ მოხსენებაში ითხოვდა ნებართვას საქართველოს ეკლესიის მმართველობის მოწესრიგების მიზნით სასულიერო დიკასტერიის დაარსებას, რომლის თავმჯდომარედ კათოლიკოსი ანტონ II უნდა დანიშნულიყო, წევრებად კი ხელისუფლების მომხრე სასულიერო პირები. ალ. ტორმასოვი არ დაელოდა ხელისუფლებისაგან პასუხის მიღებას და კათოლიკოს ანტონ II-ს შეადგენინა პროექტი თბილისში სასულიერო დიკასტერიის გახსნის შესახებ. ამ პროექტით, სასულიერო დიკასტერიის სანაცვლოდ უქმდებოდა თბილისის სამიტროპოლიტო, რამაც არსენის დიდი აღშფოთება გამოიწვია. იგი კათოლიკოსის იურისდიქციას აღარ ემორჩილებოდა. ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ სასულიერო დიკასტერიის დაარსება პირველი სერიოზული ნაბიჯი იყო საქართველოს ეკლესიის გაუქმების გზაზე, რადგან მის კონტროლქვეშ მოქცეული კათოლიკოსი დამოუკიდებლად ვეღარ წარმართავდა ეკლესიის საქმიანობას. მთავარმართებელ ალ. ტორმასოვის მოხსენების საფუძველზე პეტერბურგში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა და მისი დამოუკიდებლობის გაუქმების მიზნით აუცილებელი იყო ანტონ II კათოლიკოსის გაწვევა. მისი საქართველოდან გასახლებით ხელისუფლება ერთდროულად რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას შეძლებდა – ერთი მხრივ, თავიდან მოცილებდა მეამბოხე კათოლიკოსს, რომელიც ბაგრატიონთა გვარიდან იყო და მეორე – მისი მოცილებით გაიოლდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

1811 წლის 10 ივნისს პეტერბურგში ჩასული სა-

ქართველოს ეკლესიის მწვემსმთავარი დიდი პატივით მიიღეს, რაც, ბუნებრივია, საიმპერატორო კარის სტუმართმოყვარეობით არ აიხსნება. ანტონ II მართლაც სასურველი სტუმარი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის, რომელსაც ხელიდან უძველესი საკათალიკოსო გამოსტაცეს. ტრაგიკულად წარიმართა მისი ბედი რუსეთში. მალე მას მინიჭებული საიმპერატორო მზრუნველობაც მოაკლდა. 1827 წელს ანტონ II ნიჟნი ნოვგოროდში გარდაიცვალა.

ანტონ II-ის რუსეთში გაწვევის შემდეგ მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავს დაევალა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის შემუშავება. მის მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე 1811 წლის 30 ივლისს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

მცხეთის საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ ხელისუფლების წინაშე დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების საკითხიც იდგა, მაგრამ იმერეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. 1814 წელს შედარებით მშვიდ ვითარებაში გაუქმდა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით ცარიზმმა მნიშვნელოვან პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწია. რუსეთის რეაქციულმა ძალებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ხალხის ასიმილაციისათვის საჭირო იყო იმ ერთადერთი სულიერი საყრდენის მოსპობა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

**I თავის II პარაგრაფში** - „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX ს-ის პირველი ნაევარი)“ - ნახვენებია XIX ს-ის პირველ ნახევარში რუსეთის ხელისუფლებამ თუ როგორ განახორციელა ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიის



რეორგანიზაცია.

საქართველოს ეკლესია, სტრუქტურულ-ადმინისტრაციული თვალსაზრისით, დიდად განსხვავდებოდა რუსეთის ეკლესიისაგან. პეტრე I-ის რეფორმების შედეგად 1721 წელს პატრიარქობის გაუქმების შემდეგ რუსეთის ეკლესიას მართავდა სინოდი, რომლის სათავეში საერო პირი – ობერპროკურორი იდგა. მართალია, სინოდში პირველი ადგილი პეტერბურგის მიტროპოლიტს ეკავა, მაგრამ მისი უფლება-მოსილება შეზღუდული იყო ობერპროკურორის მეშვეობით. ეკატერინე II-ის დროს, 1784 წელს, ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონება ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა, რის გამოც ეკლესია ხელისუფლების ერთ-ერთ ბიუროკრატიულ ორგანოდ იქცა. სწორედ ასეთ მმართველ ორგანოს დაუქვემდებარეს 1811 წელს საქართველოს ეკლესია.

ახალი მმართველობის შემოღება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთბაშად არ მომხდარა. იგი რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. გატარებული რეორგანიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს საეგზარქოსო, რომელმაც სტრუქტურულ-ადმინისტრაციული თვალსაზრისით დასრულებული სახე XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო. თუმცა, იგი შემდგომ პერიოდშიც, თითქმის გაუქმებამდე (1917 წ.), გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებს განიცდიდა.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი დაკავშირებულია ეგზარქოს ვარლამ ერისთავის (1811-1817) სახელთან, რომელმაც ქართლ-კახეთში არსებული 13 ეპარქიის ნაცვლად შექმნა ორი. იგი ეგზარქოსის გარდა მცხეთისა და ქართლის ეპარქიის მიტროპოლიტადაც ითვლებოდა. მეორე – ალავერდ-კახეთის ეპარქიის მმართველად დაინიშნა იოანე ბოდბელი (მაყაშვილი). 9 საარქიმანდრიტოს

ნაცვლად შემცირების შემდეგ დარჩა 5. სასულიერო მმართველობის ორგანოდ დაწესდა სასულიერო დიკატერია, რომლის თავმჯდომარედ ეგზარქოსი დაინიშნა, ხოლო ხელისუფლების უშუალო ჩარევით წევრებად აირჩიეს რუსეთის რეჟიმის მომხრე ქართველი სამღვდელოება. სასულიერო დიკატერიას უნდა შეესწავლა ეკლესიისა და სამღვდელოების მდგომარეობა. მასვე დაევალა დაედგინა საეკლესიო გადასახადების რაოდენობა, საეკლესიო შემოსავლების აკრეფა და მისი განაწილება საჭიროებისამებრ. სასულიერო დიკატერია აწესრიგებდა აგრეთვე ქორწინების და განქორწინების საკითხებს, განიხილავდა სასულიერო პირთა შორის ატეხილ დავას.

სასულიერო დიკატერია ეპარქიებში ნიშნავდა ბლადოჩინებს, რომელიც ქართულად ითარგმნება როგორც კეთილმოწესე. ეს თანამდებობა მანამდე ქართულ ეკლესიაში არ არსებობდა. ბლადოჩინი იყო ეპისკოპოსის თანაშემწე. თითოეული ეპარქია რამდენიმე საბლადოჩინო ოლქად იყოფოდა. ბლადოჩინს ევალებოდა ეკლესიების კეთილმოწყობა, საეკლესიო საკუთრების დაცვა, ახალი ეკლესიების აგება. იგი აკვირდებოდა, საეკლესიო კანონების სრული დაცვით ტარდებოდა თუ არა წირვა-ლოცვა, ნათლობა, ჯვრისწერა და სხვა.

რეორგანიზაციის შემდეგ საქართველოს ეკლესიაში გაჩნდა ვიკარ-ეპისკოპოსის თანამდებობა. იგი ეგზარქოსის წარმომადგენელი იყო ადმინისტრაციისა და სამართლის დარგში და მის თანაშემწედ ითვლებოდა. ვიკარ-ეპისკოპოსი საქართველოს ეგზარქოსის მითითებით წარმართავდა თავის მოღვაწეობას. ვიკარ-ეპისკოპოსები ძირითადად ქართლ-კახეთის ეპარქიაში არსებობდა.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი განხორციელდა 1814 წელს, დასავლეთ სა-

ქართველოს საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ, მთავარეპისკოპოს დოსითეოს ფირცხელაურის მიერ შედგენილი პროექტით. რეორგანიზაციის მეორე ეტაპზე სასულიერო დიკატერიის ნაცვლად ეგზარქოსის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“. აღმოსავლეთ საქართველოში მანამდე არსებული ორი ეპარქიის ნაცვლად შეიქმნა სამი: 1) ქართლის, 2) კახეთის, 3) საქართველო-კავკასიის და სიღნაღის ეპარქიები. ამ უკანასკნელის მმართველად დაინიშნა დოსითეოს ფირცხელაური, რომელსაც აგრეთვე ახლად აღდგენილი „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მეთაურობაც დაევალა. ახალი დებულებით, დასავლეთ საქართველოს ეკლესიების მართვის მიზნით, ქუთაისში უნდა დაარსებულიყო სასულიერო დიკასტერია, მაგრამ შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო იგი არ გახსნილა.

ეკლესიის რეორგანიზაციის მესამე ეტაპი დაკავშირებულია ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის სახელთან. მის მიერ შედგენილი პროექტის საფუძველზე 1818 წლის 28 დეკემბერს სინოდის გადაწყვეტილებით აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა ერთი, ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქია, ხოლო დასავლეთ საქართველოში – იმერეთის, გურიის და სამეგრელოს ეპარქიები. 1819-1820 წლებში იმერეთისა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე მიმდინარე აჯანყების გამო დასავლეთ საქართველოში დაგეგმილი საეკლესიო რეფორმები ვერ გატარდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მოგვიანებით, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში განხორციელებული საეკლესიო გარდაქმნები არასრულყოფილი იყო. ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, XIX ს-ის პირველ ნახევარში ვერ მოხერხდა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის დასრულება.

**II თავის I პარაგრაფში** - „ცარიზმის ბრძოლა

საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნისათვის“ – აღნიშნულია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არა მარტო სტრუქტურულად მინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით, არამედ საეკლესიო ქონების განკარგვის ხასიათითაც საგრძნობლად განსხვავდებოდა რუსული ეკლესიისაგან. სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების და შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა შეწირული ყმა-მამულები. ამ გზით საუკუნეების მანძილზე ეკლესიას დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება დაუგროვდა. რუსეთში კი, ეკატერინე II-ის დროს ეკლესიის ქონება სახელმწიფოს ხაზინის კუთვნილება გახდა, საიდანაც სამღვდელოება ჯამაგირს იღებდა. გატარებული ღონისძიებებით რუსეთის ეკლესიას წაერთვა თავისი პირვანდელი დანიშნულება. მატერიალურად სახელმწიფოზე დამოკიდებული სასულიერო პირები რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებლებად მოგვევლინენ.

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას სურდა, საქართველოს ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონება სახელმწიფო ხაზინის კუთვნილება გამხდარიყო. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად მზადება მათ ჯერ კიდევ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე დაიწყო. ამ მიზნით ხელისუფლებამ სცადა გაერკვია საეკლესიო შემოსავლების ზუსტი რაოდენობა, მაგრამ საქართველოს ეკლესიაში მოუწესრიგებელი აღრიცხვიანობის გამო შეუძლებელი შეიქნა მისი დადგენა. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ კი საეკლესიო შემოსავლების გარკვევა დაევალა სასულიერო დიკასტერიას, შემდგომ – საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას. დიდი მცდელობის მიუხედავად, როგორც ერთმა ისე მეორე სასულიერო უწყებამ ვერ შეძლო სა-

ეკლესიო შემოსავლების ზუსტი რაოდენობის დადგენა. სასულიერო უწყებამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ 1811 წლის გადაწვევტილებით, საეკლესიო აზნაურები თავიანთ კუთვნილ ყმა-გლეხებთან ერთად სახელმწიფო ხაზინის კუთვნილებად გამოცხადდა და ამით დაიწყო სეკულარიზაციის პირველი ეტაპი.

რუსეთის სასულიერო უწყებამ ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საეკლესიო გლეხთა ქონებისა და შემოსავლების მოწესრიგებას. სასულიერო დიკასტერიის, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებული კამერალური აღწერების მეშვეობით მიახლოებით იქნა დადგენილი საეკლესიო გლეხთა რაოდენობა და მათი შემოსავლები.

საეკლესიო ქონების აღწერასა და გამოვლენას დიდი ამაგი დასდო სინოდალური კანტორის პირველმა პროკურორმა ვ. ჭილაძემ. მან, პირველ რიგში, ყურადღება მიაქცია საეკლესიო გლეხთა გადასახადების საკითხს. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო გლეხთა გადასახადს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დიდი ცვლილება არ განუცდია. შეიცვალა მხოლოდ გადასახადის მიღების ადრესატი. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ იგი ხაზინაში გროვდებოდა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში ეკლესიის სასარგებლოდ გლეხი იხდიდა საეკლესიო-საადგილმამულო (მაგ., დალა, კულუხი) და საეკლესიო-სამწყსოს (დრამა, სახუცო) გადასახადს. აღნიშნული გადასახადის გარდა გლეხები ფულადი სახით იხდიდნენ აღსარების, ზიარების, ნათლობის, ჯვრისწერის და სხვა სახის გადასახადს. საეკლესიო გადასახადების ძირითადი ნაწილის გადახდა ნატურით ხდებოდა. ეგზარქოსმა თეოფილაქტემ (1817-1821) მოახდინა საეკლესიო გადასახადების კომუტაცია, რითაც საეკლესიო ფულადი გადასახადების შემოსავალი სახელმწიფო ხაზინა-

ში ორჯერ გაიზარდა.

ხელისუფლების მიერ გატარებული საეკლესიო გარდაქმნების შედეგად, XIX ს-ის 20-იან წლებში საეკლესიო გლეხები საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაზე მხოლოდ ეკონომიკურად იყვნენ დამოკიდებულნი. ისინი საეკლესიო მიწით სარგებლობის გამო იხდიდნენ გადასახადებს, რომელიც ხაზინის კუთვნილებად იქცა. ხაზინაში შესული საეკლესიო შემოსავლებიდან ფინანსდებოდა საქართველოს სასულიერო უწყება. 1828 წლის 4 ნოემბრის სინოდის გადაწყვეტილებით საეკლესიო გლეხები და მათი მამულები დროებით სამოქალაქო სამმართველოს განკარგულებაში გადავიდნენ და ამ მდგომარეობაში იყვნენ ისინი XIX ს-ის 50-იან წლებამდე. 1853 წელს აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონება ხაზინის კუთვნილება გახდა, მაგრამ ეს ქონება ხაზინას გადაეცა მხოლოდ გამგებლობაში და არა სრულ საკუთრებაში, რადგან საეკლესიო გლეხი ისევ ამ სტატუსით რჩებოდა. მოგვიანებით, 1869 წელს ქართლ-კახეთის საეკლესიო ქონება იქცა ხაზინის საკუთრებად. ეს პროცესი იმერეთსა და გურიაში 1871 წელს გატარდა, სამეგრელოში კი – 1880 წელს.

ხელისუფლების მიერ განხორციელებული გარდაქმნები სამონასტრო ცხოვრებასაც შეეხო, რომელთა რაოდენობა ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საგრძნობლად შემცირდა. რუსეთში არსებული მონასტრების მსგავსად შემოსავლის სიდიდის მიხედვით ქართული მონასტრები დაიყო სამ კატეგორიად. პირველ და მეორე კატეგორიისად რამდენიმე მონასტერი მიიჩნიეს. მონასტრების უმრავლესობა ძირითადად მასამე კატეგორიისად ითვლებოდა. ქართული მონასტრების დიდი ნაწილი რუსეთიდან ჩამოყვანილი რუსი ბერებით იყო დაკომპლექტებული, წინამძღვრებადაც, ძირითადად, რუსები ინიშნებოდნენ. გატარებული გარ-

დაქმნებით მოიშალა ძველი ქართული სამონასტრო ტრადიცია და მის მაგივრად სამონასტრო ცხოვრება სლავური ტიპიკონის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

**II თავის II პარაგრაფში** - „საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა XIX ს-ის პირველ ნახევარში“ – აღნიშნულია, რომ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ცარიზმმა კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის მეთაურად დააწესა ეგზარქოსის ტიტული. ნაშრომში უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით გარკვეულია „ეგზარქოსის“ წარმომავლობა და მისი ადგილი საეკლესიო მმართველობაში. ნაჩვენებია, რომ ეგზარქოსი უძველესი საერო და სასულიერო ტიტული იყო. ამ ტიტულის გახსენებითა და მისი აღდგენით რუსეთის მმართველი წრეები ვითომდა დიდ პატივისცემას გამოხატავდნენ დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს ეკლესიისადმი. მართალია, რუსეთის სინოდში ასეთი მაღალი ტიტულით არცერთი მღვდელმთავარი არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ, ფაქტობრივად, საქართველოს ეგზარქოსს მათთან შედარებით არავითარი პრივილეგია არ გააჩნდა. უმეტეს შემთხვევაში იგი რუსეთის სხვა ეპარქიის მმართველებზე ნაკლები უფლებებითაც სარგებლობდა. საქართველოს ეგზარქოსს ჰქონდა მხოლოდ ერთი უპირატესობა. მას სინოდში მუდმივი მე-4 ადგილი ეკავა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ეგზარქოსობის პერიოდი განსაკუთრებული სიმძიმით გამოირჩევა, ეკლესიამ დაკარგა დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის სინოდის მოვლინებულ ეგზარქოსებს დაუქვემდებარა. პიროვნული ავკარგიანობის მიუხედავად, ისინი რუსეთის სინოდის ნებას ადასრულებდნენ და რუსეთის იმპერიის სამსახურში იყვნენ ჩაბმულნი. საქართველოს საეგზარქოსოს და მასზე დაქვემდებარებულ სინოდალურ კანტორის მეშვეობით, რომელიც

ძირითადად რუსეთიდან მოვლინებული კადრებით იყო დაკომპლექტებული, რუსეთის ცარიზმი საქართველოში ატარებდა იმპერიულ საეკლესიო პოლიტიკას.

ეგზარქოსად დასანიშნ კანდიდატურას საგანგებოდ არჩევდნენ. ამ თანამდებობაზე, სინოდის წარდგინებით იმპერატორი ნიშნავდა ყოველად საიმედო, იმპერიის ინტერესებისათვის თავდადებულ, სასულიერო მოღვაწეობაში გამოცდილ პიროვნებას. ეგზარქოსი, როგორც რუსეთის სასულიერო ბიუროკრატიული ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ატარებდა იმ პოლიტიკას, რომელიც ცარიზმისათვის იყო მისაღები. ასეთი პოლიტიკური დატვირთვის გამო საქართველო საეგზარქოსოს და მის ხელმძღვანელ ეგზარქოსს არ შეეძლო ქართველი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ ემოღვაწა. საქართველოს ეკლესიას ეგზარქოსები საუკუნე და 6 წელიწადი მართავდნენ. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ 19-მა ეგზარქოსმა მოასწრო საქართველოში მოღვაწეობა. მათ შორის მხოლოდ პირველი ეგზარქოსი, ვარლამ ერისთავი იყო ეროვნებით ქართველი, დანარჩენი კი – რუსი. მართალია, ეგზარქოსები ხშირად იცვლებოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი მოღვაწეობა საბოლოოდ რუსეთის იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა, მაგრამ ისინი მაინც გარკვეული ინდივიდუალურობით გამოირჩეოდნენ და ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მეტნაკლები სახით საკუთარ ხელწერას ტოვებდნენ.

ნაშრომში წერილობით წყაროებზე დაყრდნობით სათანადოდაა შეფასებული XIX ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსების: ვარლამ ერისთავის (1811-1817), თეოფილაქტე რუსანოვის (1817-1821), იონა ვასილევსკის (1821-1832), მოსე ბოგდანოვის (1832-1834), ეგენი ბაჟენოვის (1834-1844) და ისიდორე ნიკოლსკის



(1844-1858) მოღვაწეობა. ხაზგასმულია, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსების უმრავლესობა ანტიქართულ საქმიანობასთან ერთად ქართულ ეკლესია-მონასტრების ძარცვითაც იყო დაკავებული.

დისერტაციის ამავე თავში აღნიშნულია, რომ რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ცვალებადობის შესატყვისად იცვლებოდა საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობაც. XIX ს-ის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან, 50-იანი წლების დასასრულამდე, ლიბერალური პოლიტიკის გავლენით, საქართველოს საეგზარქოსო და ამ დროს მოღვაწე ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკი (1844-1857) შედარებით შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა. მისი მოღვაწეობის დროს აშკარად ანტიქართულ გამოსტომებს ადგილი არ ჰქონია.

XIX ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსების მეშვეობით გატარდა ის სტრუქტურულ-ადმინისტრაციული ცვლილებები, რომელიც ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ განხორციელდა საქართველოს ეკლესიაში.

**II თავის III პარაგრაფში** - „ქართველი სამღვდელოება XIX ს. პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში“ – ნახვენებია, რომ საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება უძველესი დროიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველი სამღვდელოება აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართალია, მათ საეკლესიო სამართალი პოლიტიკურ საკითხებში ჩარევას უკრძალავდა, მაგრამ, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, ისინი რწმენასთან ერთად ხმლითაც იცავდნენ ქვეყნის ინტერესებს და ხშირად დიპლომატიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესია აქტიურად უჭერდა მხარს საერო ხე-

ლისუფლების გადაწყვეტილებას ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის შესვლის შესახებ. საქართველოს ეკლესია დიდი იმედებით შეხვდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრაქტატის მე-8 მუხლით საგრძნობლად ილახებოდა მისი, როგორც ავტოკეფალური ეკლესიის უფლებები. მართალია, ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულება რუსეთს არასდროს შეუსრულებია, მაგრამ ქართველი სამღვდელოება და ეკლესია ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე კვლავ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრე იყო.

სახელმწიფოებრიობისა და ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ ქართველი სამღვდელოება აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ყველა გამოსვლაში. ჯერ კიდევ იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, სამეფოს გაუქმების მიუხედავად, ქართველი სამღვდელოება წირვა-ლოცვის დროს იულონს მეფედ მოიხსენებდა, რაც ხელისუფლების დიდ გაღიზიანებას იწვევდა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის გაუქმების შემდეგ ქართველი სამღვდელოების ანტირუსული განწყობილება კიდევ უფრო გაიზარდა. უკმაყოფილო ქართველი ხალხისა და სამღვდელოების გულის მოგების მიზნით იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოსცა საგანგებო რესკრიპტი, რომლის ძალით მისთვის საჩუქრად მირთმეული, ერთ დროს რუსეთში გატანილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდე – წმინდა ნინოს ჯვარი დიდი ზარზეიმით თავის კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს. ამ ფაქტით რუსეთის იმპერატორს სურდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით გამოწვეული ხალხის უკმაყოფილება სიხარულით შეეცვალა. რესკრიპტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლა მხოლოდ ქართველი ხალხისადმი კე-

თიღგანწყობით იყო ნაკარნახევი და არა დამპყრობლური მიზნებით. ქართველი სამღვდელოებისათვის მალე გახდა ცნობილი რუსეთის ხელისუფლების ზრახვები. თბილისში შემოსვენებული წმ. ნინოს ჯვარს თან მოჰყვა რუსული სამხედრო ძალა, რომლის მიზანი იყო დაპყრობილი ქვეყნის მართვა.

კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ნაშრომში ვრცლად არის გადმოცემული ქართველი სამღვდელოების აქტიური მონაწილეობა 1802 წლის კელმენჩურის შეთქმულებაში, 1804 წლის მთიულეთის და 1812 წლის კახეთის აჯანყებაში. ხელისუფლების მიერ განხორციელებული მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, ქართველი სამღვდელოება ჯერ კიდევ ავტოკეფალიის გაუქმებამდე აქტიურად იბრძოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, მართალია, ქართველი სამღვდელოებას აშკარა პროტესტი არ გამოუთქვამს, მაგრამ მომდევნო პერიოდში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათი მონაწილეობა იმის დასტურია, რომ ისინი სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად პროტესტს ეკლესიის ავტოკეფალის გაუქმების გამოც გამოხატავდნენ.

ნაშრომში ახლად გამოვლენილი წყაროების საფუძველზე გაშუქებულია 1819-1820 წლების დასავლეთ საქართველოში მომხდარი „საეკლესიო ბუნტი“, რომელიც იმერეთთან ერთად გურიასა და რაჭაშიც გავრცელდა. აჯანყების გამომწვევი მიზეზი იყო ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გარდაქმნების გატარება. მართალია, დაწყებულმა აჯანყებამ შემდგომ პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა და მასში საერო პირებიც აქტიურად ჩაებნენ, მაგრამ აჯანყებულ ხელმძღვანელთა შორის გამორჩეული ადგილი ეჭირათ მიტროპოლიტებს: დო-

სითეოს ქუთათელს და ეფეთიმე გენათელს, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ხელისუფლებამ ისინი დააპატიმრა და სასტიკად დასაჯა.

ქართველმა სამღვდელოებამ აგრეთვე აქტიური მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში. ტარასი აღექსი-მესხიშვილი, სოფრონი, ნიკიფორე, ფილადელფოს კიკნაძე და სხვ. ახლოს იყვნენ შეთქმულებთან. შეთქმულების მთავარი იდეური სულისჩამდგმელი იყო ფილადელფოს კიკნაძე.

XIX ს-ის 30-40-იან წლებში მკაცრი რეპრესიების გამო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიწედა. სასულიერო პირებიც ვეღარ აქტიურობდნენ. თუმცა, სხვადასხვა ფორმით მაინც გამოხატავდნენ პროტესტს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

**III თავის I პარაგრაფში** - „ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ცვლილებანი საქართველოს საეკლესიოს მმართველობაში“ - ნაჩვენებია, რომ XIX საუკუნის II ნახევრიდან აშკარად გამოიკვეთა ცარიზმის რეაქციული საეკლესიო პოლიტიკა. ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონება ხაზინის კუთვნილება გახდა. ჩვენთვის უცნობია, ეკლესიის ქონების სეკულარიზაციის გზით ფულადი თანხის რა რაოდენობა შედიოდა ყოველწლიურად ხაზინაში, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ გატარებული ღონისძიებებით, ერთ მხრივ, ხელისუფლებამ საკმაოდ სოლიდური შემოსავლის წყარო გაიჩინა, მეორე მხრივ – ეკლესიამ დაკარგა საკუთარი ეკონომიკური ბაზა. მატერიალურ სახსარსმოკლებული სასულიერო პირები ჯამაგირს ხაზინიდან იღებდნენ. ასეთი პოლიტიკური ნაბიჯით ცარიზმმა ქართველი სამღვდელოება ხელისუფლების სურვილის აღმასრულებელ მოხელეებად აქცია. ჯამაგირზე დამოკიდებული ქართველი სამღვდელოება საე-

რძნობლად დაშორდა თავის მრევლს. უცხო ძალის ქვეშ მოქცეული სასულიერო პირები ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს ვეღარ პასუხობდნენ, რის გამოც მათი ავტორიტეტი თანდათან დაეცა.

XIX ს-ის მეორე ნახევარში თვალსაჩინო გახდა ის მძიმე შედეგები, რაც ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა. ღვთისმსახურებაში დაკანონდა სლავური წესგანგება, აიკრძალა ძველი ქართული საეკლესიო საგალობლები. ხელისუფლება შეეცადა, წირვა-ლოცვა ყველა ეკლესიაში რუსულ ენაზე ჩატარებულიყო, მაგრამ მათ თავიანთი განზრახვა ნაწილობრივ განახორციელეს. შერეულ მრევლში (ქართველები, რუსები და სხვ.) წირვა რუსულ ენაზე სრულდებოდა, ხოლო ქართულ დასახლებებში - მშობლიურ ენაზე. ამავე პერიოდში საქართველოში მომრავლდა რუს წმინდანთა - ალექსანდრე ნეველისა და მიხეილ ტვერელის სახელობის ეკლესიები. საეგზარქოსო არ აღნიშნავდა ქართველი მეფე-წმინდანების: თამარის, დავით აღმაშენებლის, ქეთევან დედოფლის და სხვა ხსენებას.

რუსეთის ცარიზმმა თავისი ხელი ქრისტიანულ არქიტექტურასაც დაატყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მათ დაიწყეს რუსული სტილზე ქართული ტაძრების გადაკეთება.

ამავე პერიოდში გარკვეული კორექტივი იქნა შეტანილი ეგზარქოსის ტიტულატურაში. XIX ს-ის 50-იანი წლების ბოლოდან ისინი მიტროპოლიტის ნაცვლად მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილება იმის დასტური იყო, რომ ხელისუფლებას სურდა ეგზარქოსის ადგილზე შედარებით დაბალი საეკლესიო ხარისხის სასულიერო პირი ყოფილიყო. სინოდში 4 მუდმივი წევრიდან 3 მიტროპოლიტი იყო, ხოლო მე-4 - საქართველოს ეგზარქოსი XIX ს-ის 60-იანი წლებიდან მთავარეპისკოპოსის ხარისხით იყო წარმოდგენილი. სამაგიეროდ, რუსეთის

ხელისუფალნი ნაეგზარქოსალ სასულიერო პირებს „დიდი დამსახურების“ გამო მიტროპოლიტობას აღუკვედნენ და მაღალ თანამდებობაზე ნიშნავდნენ.

ნაშრომში წყაროებზე დაყრდნობით დახასიათებულია XIX ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსების ევსევი ილინსკის (1858-1877), იოანიკე რუდნევის (1877-1882), პავლე ლებედევის (1882-1886), პალადი რაევის (1887-1892), ვლადიმერ ბოგოიაველენსკის (1892-1898) და ფლაბიანე გოროდეცკის (1898-1901) მოღვაწეობა და ქართველი საზოგადოების ბრძოლა მათი ანტიქართული საქმიანობის წინააღმდეგ.

XIX ს-ის მეორე ნახევარში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სასულიერო უწყებაში. პირველ რიგში ეს ცვლილება შეეხო ეპარქიებს. ხელისუფლება, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, ეპარქიებს აუქმებდა ან ახალს ხსნიდა. 1851 წ. შეიქმნა აფხაზეთის ეპარქია, რომელიც მანამდე იმერეთის ეპარქიაში შედიოდა. 1869 წ-ს იგი გააუქმეს და ისევ იმერეთის ეპარქიას დაუქვემდებარეს. 1885 წ-ს ისევ აღადგინეს სოხუმის ეპარქიის სახელწოდებით. 1874 წ-ს სამეგრელოს ეპარქია იმერეთის ეპარქიას შეუერთეს, ხოლო 1885 წლიდან კი ცალკე გამოყვეს და გურიის ეპარქიასთან გააერთიანეს.

ეპარქიების მართვის სრულყოფის მიზნით 1867 წლიდან სინოდის გადაწყვეტილებით ადგილობრივი მღვდელმთავრების თანხმობით სამღვდელოებას წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შეეძლო საეკლესიო კრება მოეწვია. კრებას ესწრებოდნენ სამრევლო ოლქებიდან არჩეული სასულიერო პირები. საეპარქიო კრების უფლებამოსილება საგრძნობლად იყო შეზღუდული. მათი საქმიანობა მხოლოდ სასულიერო სასწავლებელთა ფინანსური საკითხების განხილვით შემოიფარგლებოდა.

**III თავის II პარაგრაფში** - „სამისიონერო მოღვა-

წეობა და სასულიერო სასწავლებლები ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში“ - აღნიშნულია, რომ ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში კავკასიის მთიელთა შორის სამისიონერო საქმიანობამ განსაკუთრებული ადგილი ჯერ კიდევ XVIII ს-ის შუა ხანებში დაიკავა, როცა მისი საზღვარი უშუალოდ კავკასიის ქედს მოებრჯინა. 1745 წელს სინოდის მიერ დაარსებული „ოსეთის სასულიერო კომისია“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის ხალხთა შორის ქრისტიანობის აღდგენაში, მაგრამ ამავე საუკუნის ბოლოს მან ფუნქციონირება შეწყვიტა. რუსეთის ცარიზმმა 1814 წლის განკარგულებით თბილისში აღადგინა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომლის ხელმძღვანელობა ჩაიბარა მთავარეპისკოპოსმა დოსითეოზმა. მართალია, „ოსეთის სასულიერო კომისია“ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა, მაგრამ მან თავისი არსებობის მანძილზე (1814-1860) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო კავკასიელ მთიელთა მოქცევაში, არამედ მან სამისიონერო საქმიანობა აქტიურად წარმართა საინგილოში, აფხაზეთში, სვანეთში და სხვ.

XIX ს-ის 60-იან წლებიდან, კავკასიის შემოერთების დასრულების შემდეგ, აშკარა გახდა, რომ „ოსეთის სასულიერო კომისია“ ვეღარ პასუხობდა იმპერიის კოლონიურ ინტერესებს. ხელისუფლება უკვე სერიოზულად ფიქრობდა იმაზე, თუ როგორც ჰყოლოდა მორჩილებაში იარაღის ძალით დაპყრობილი მთიელები. მათ მიაჩნდათ, რომ სამისიონერო საქმიანობა იყო ის საშუალება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა კავკასიის მთიელი ხალხის შემომტკიცება. მიზნიდან გამომდინარე, ახალი საზოგადოების ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო მთიელ ხალხში შერყეული რწმენის განმტკიცება, წარმართთა შორის მისი გავრცელება და მაჰმადიანთა მოქცევა ქრისტიანობაზე. ცარიზმი

თვლიდა, რომ სარწმუნოებრივი სხვაობა დამაბრკოლებელი საშუალება იყო მთიელი მოსახლეობის დამორჩილებისათვის. მათი აზრით, სარწმუნოებრივი ერთიანობის შემთხვევაში ადვილი იქნებოდა მთიელი ხალხის ასიმილაცია. დასახული მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა 1860 წლის 9 ივნისს სინოდის მიერ თბილისში დაარსებული „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“. საზოგადოება კავკასიის მთიელი ხალხის გარდა სამისიონერო მოღვაწეობას წარმართავდა საქართველოს ისეთ კუთხეებში (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სვანეთი), სადაც ადრე ქრისტიანობა ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ შემდგომ წარმართობის ელემენტებმა იჩინა თავი. მათვე ქრისტიანობის გავრცელება დაიწვეს აფხაზეთში, საინგილოში, სამცხე-ჯავახეთში და ახლად შემოერთებულ აჭარაში, სადაც ფეხმოკიდებული იყო მაჰმადიანობა.

საზოგადოებამ პირველ რიგში ყურადღება მიაქცია კადრების მომზადებას. მისიონერებად მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს უშვებდნენ. ქრისტიანულ ზნეობასთან ერთად, მისიონერებს კარგად უნდა შეესწავლათ იმ ხალხის ისტორია და ყოფა, სადაც ისინი სამოღვაწეოდ მიდიოდნენ. მისიონერებად ძირითადად იგზავნებოდა რუსი სამღვდელთა. ხელისუფლებას დასაშვებად მიაჩნდა არარუსი სასულიერო პირების ჩართვაც. მათი შერჩევა უნდა მომხდარიყო პოლიტიკური და ზნეობრივი ნიშნის მიხედვით. სამისიონერო მოღვაწეობის დროს, სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად, მისიონერი ვალდებული იყო, რუსეთის პოლიტიკა გაეტარებინა. მისიონერებს მჭიდრო კავშირი უნდა დაემყარებინათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, უნდა გაეზიარებინათ მათი ჭირ-ვარამი, ოღონდ, კრიტიკა არ უნდა შეხებოდა არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. პირიქით, მათი



მოდვაწეობა იმ გზით უნდა წარმართულიყო, რომ მრევლი „დაერწუნებინათ რუსეთის ჭეშმარიტ დიდებაში“. გარდა ამისა, მისიონერთა უპირველესი ამოცანა იყო ადგილობრივი მოსახლეობა არა მარტო სარწმუნოებრივად, არამედ ყოფითი ცხოვრებით დაეახლოვებინათ რუსულ წეს-ჩვეულებებთან.

საზოგადოებას სამისიონერო საქმიანობის წარმართვის მიზნით ხაზინიდან სოლიდური თანხა გამოეყო, რომლის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. დაფუძნების შემდეგ საზოგადოებამ გააქტიურა თავისი მოდვაწეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. რუს სამღვდელეობასთან ერთად მისიონერებად გაიგზავნენ ქართველი სასულიერო პირები. საზოგადოების მუშაობამ გარკვეულ წარმატებას მხოლოდ ქართველ მისიონერთა მონაწილეობით მიაღწია. რუს მისიონერებს, შოვინისტური პოლიტიკის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა უნდობლობას უცხადებდა. ხელისუფლება საზოგადოების მეშვეობით ცდილობდა ანტიქართული პოლიტიკა გაეტარებინა საქართველოს ძირძველ კუთხეებში – აჭარაში, აფხაზეთში და საინგილოში. ამ მხრივ, მათ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს. ცარიზმის ანტიქართულ რეაქციულ პოლიტიკას აქტიურად დაუპირისპირდა ქართველი საზოგადოება.

მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური დატვირთვისა, საზოგადოებამ გარკვეულწილად მაინც დადებითი როლი შეასრულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ქრისტიანობის განმტკიცებაში. საზოგადოების მეშვეობით ახლადმოქცეულებისათვის გაიხსნა სკოლები, აშენდა ახალი ეკლესიები და სხვ.

საქართველოში ცარიზმის პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა საეგზარქოსოსადმი დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლები. სწავლების მეთოდებით, მათი მიზნებით და ამოცანებით საქართვე-

ლოში არსებული სასულიერო სასწავლებლები დიდად განსხვავდებოდა ანალოგიური ტიპის რუსეთში არსებული სასწავლებლებისაგან. საქართველოში სასულიერო სასწავლებლებს გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. მისი მეშვეობით ხელისუფლება ახდენდა ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას და იმპერიის ერთგული ქვეშევრდომების აღზრდას. ასეთი დიდი დატვირთვის გამო ისინი ფინანსებს არ იშურებდნენ მათი ქსელის გასაფართოებლად.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვისთანავე ცარიზმმა საქართველოში გააუქმა სასულიერო განათლების სისტემა და დაიწყო რუსული ტიპის სასულიერო სასწავლებლების დაარსება. რუსეთში სასულიერო განათლება 4 საფეხურისგან შედგებოდა: სასულიერო აკადემია, სასულიერო სემინარია, სამაზრო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები. აქედან სასულიერო აკადემიები რუსეთში მხოლოდ 4 ქალაქში: მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში და ყაზანში არსებობდა. ხელისუფლების მიერ სასულიერო განათლების სისტემაში განხორციელებული გარდაქმნის შედეგად საქართველოში დაარსდა სემინარია, სამაზრო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები.

საქართველოში არსებული 4 ეპარქიისათვის სასულიერო კადრების მომზადებას ემსახურებოდა 1817 წ. დაარსებული თბილისის სასულიერო სემინარია. 1894 წელს ასეთი სემინარია გაიხსნა ქუთაისში, რომელმაც 1904 წლამდე იარსება.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თელავში, სიღნაღში, დუშეთში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდში და სენაკში გაიხსნა სამაზრო სასწავლებლები. ამავე საუკუნის 30-იანი წლებიდან კი სასულიერო პირებმა თავიანთ ეკლესიებთან გახსნეს სამრევლო სკოლები, სადაც პატრიოტულად განწყობილი პედაგოგები ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ემსა-

ხურებოდნენ მოზარდ თაობაში ქრისტიანული რწმენისა და ეროვნული გრძნობების გაღვივებას.

სასულიერო სასწავლებლების პედაგოგებად რუსეთიდან ჩამოიყვანეს საჭირო კადრები, რომლებიც რუსული იმპერიული პოლიტიკის გატარებას უწყობდნენ ხელს. სასწავლებელში მოღვაწე ქართველ პედაგოგებზე საიდუმლო მეთვალყურეობა იყო დაწესებული. არასაიმედო ქართველ პედაგოგებს ხშირად ათავისუფლებდნენ სამსახურიდან. სასულიერო სასწავლებლებში იდევნებოდა მშობლიური ენისა და ისტორიის სწავლება. ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აღიმადღეს ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა: ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა და სხვებმა.

**IV თავის I პარაგრაფში** - „XIX ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი სამღვდელოება ქვეყნისა და სარწმუნოების სამსახურში“ – აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში თერგდაღეულების მსგავსად სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ქართველ სასულიერო პირთა ახალი თაობა, რომელთა უმეტეს ნაწილს უმაღლესი სასულიერო განათლება რუსეთის სასულიერო აკადემიებში ჰქონდა მიღებული, ხოლო დაწყებითი სასულიერო განათლება მათ მიიღეს საქართველოს სხვადასხვა სასულიერო სასწავლებლებსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ თაობის წარმომადგენლები იყვნენ გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, დავით ღამბაშიძე და დაბალი სასულიერო წოდების სხვა სასულიერო პირები. მათი უმეტესი ნაწილი თავისი სოციალური წარმომავლობით გლეხთა ან სასულიერო პირთა ოჯახებიდან იყო გამოსული. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ზემოთ ჩამოთვლილ სასულიერო პირებს მიემატნენ კირიონ საძაგლიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ამბროსი ხელაია და მრვალი სხვა. მათ იმ პერიოდში მოუხდათ

მოდვაწეობა, როცა ქართულ ეკლესიას წართმეული ჰქონდა დამოუკიდებლობა და რუსეთის სინოდის უბრალო დანამატს შეადგენდა. აღარ არსებობდა ქართული სახელმწიფოებრიობაც. იგი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიას წარმოადგენდა. მიიძე იყო სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ ქართველთა ხვედრი: განადგურებული ეკლესია-მონასტრები, გაუქმებული მრავალრიცხოვანი ეპარქიები, უპატრონოდ მიტოვებულ საეკლესიო განძეულობას რუსი ბიუროკრატი მოხელეები და ეგზარქოსები იტაცებდნენ და უცხოელებზე ჰყიდიდნენ. და რაც მთავარია, ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე დაკანონებამ ქართველ ხალხში რელიგიური ინდიფერენტიზმი გამოიწვია. ისინი წირვა-ლოცვაზე იშვიათად დაიარებოდნენ. საქართველოს მთიან ნაწილში წარმართობის ნიშნებმა იჩინა თავი. რწმენის დაქვეითებას მოჰყვა ზნეობის დაცემა. ხალხმა ღვთის შიში დაჰკარგა. რუსულ სასულიერო სამინარიადამთავრებულ სამღვდელოების დიდ ნაწილს მშობლიურ ენაზე განათლება არ ჰქონდა მიღებული. ამის გამო ისინი არ იცნობდნენ თავიანთი ერისა და ქვეყნის წარსულს. ასეთ სასულიერო პირებს მრევლის გასაჭირი გულთან არ მიჰქონდათ. ისინი მოსახლეობაში უფრო სახელმწიფოს ბიუროკრატიულ მოხელეებად აღიქმებოდნენ. ხალხი ასეთ სასულიერო პირებს არ თანაუგრძნობდა. მათი უმეტესი ნაწილი არაქრისტიანულად ცხოვრობდა და მხოლოდ მატერიალური ინტერესები ამოძრავებდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა ამხელდა ზნეობრივად დაცემულ სასულიერო პირებს. ასეთ ფონზე მართლაც რომ ერის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამებოდა გაბრიელ ეპისკოპოსის, მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის, გიორგი ხელიძის, კირილ-

ნის, კალისტრატე ცინცაძის და სხვათა მოღვაწეობა, რომელთა საქმიანობა საეკლესიო ღვთისმსახურების ფარგლებს სცილდება და, რომელთა სიტყვა-ქადაგება ქართველ ერს დაკარგული რწმენის აღდგენის იმედს უნარჩუნებდა. ისინი სიტყვით თუ საქმით თავდაუზოგავად იბრძოდნენ ერში დაცემული რწმენის აღდგენისათვის და ამასთან ერთად იღვწოდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. მათ აგრეთვე, დიდი როლი შეასრულეს სიძველეთა დაცვაში. მკაცრად ილაშქრებდნენ სასწავლებლებში გამეფებული ანტიქართული რეჟიმის წინააღმდეგ, ამხელდნენ გადაგვარებულ ანტიქართველთა საქმიანობას და სხვა. მრევლის წინაშე წარმოთქმულ ქადაგებებში ყურადღებას ამახვილებდნენ მანკიერ მხარეებზე და პრაქტიკული მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ მის აღმოფხვრას.

რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ხმა აღიმადლა XIX ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი სამღვდელთა ერთმა ნაწილმა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ 1995 წელს საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მღვდელმთავრები გაბრიელ ქიქოძე (1825-1896) და ალექსანდრე ოქროპირიძე (1824-1907). ორივე მღვდელმთავრის ცხოვრება და მოღვაწეობა იმის დასტურია, რომ ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. მართალია, ისინი ბავშვობიდანვე ეზიარნენ რუსულ კულტურას და განათლებაც ამავე ენაზე მიიღეს, მაგრამ რუსიფიკატორულმა რეჟიმმა მათში ვერ ჩაკლა მამულისადმი უსაზღვრო სიყვარული. ორივე მღვდელმთავარი სხვა ქართველ სამღვდელთაგანსთან ერთად ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ აქტიურად იბრძოდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი და ეროვნული უფლებების დაცვისათვის.

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, ქართველ სამღვდე-

ლოებაში ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას და მოსახლეობაში ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას ემსახურებოდა 1883-1910 წწ. დეკანოზ დავით დამბაშიძის მიერ საკუთარი ხარჯით დაბა ზესტაფონში ქართულ ენაზე გამოცემული სასულიერო ხასიათის ჟურნალი - „მწყემსი“. მთავრობის ოფიციალური განკარგულებების გარდა, მკაცრი ცენზურის პირობებში, აღნიშნული ჟურნალი საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ჩვენებასთან ერთად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური პროცესების ობიექტურ გაშუქებასაც. არაქართველი მკითხველისთვის დავით დამბაშიძე 1886-1903 წლებში რუსულ ენაზე გამოცემდა ჟურნალ „Пастыр“-ს. დავით დამბაშიძის რედაქტორობით გამოცემულმა ჟურნალებმა დიდი როლი შეასრულა ახალი თაობის სასულიერო პირების გონებრივ განვითარებაში. ბევრმა მათგანმა თავისი პირველი ნაშრომები აღნიშნული ჟურნალის ფურცლებზე გამოაქვეყნა.

**IV თავის II პარაგრაფში** - „თერგდალეულები, ქართველთა სარწმუნოებრივი უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში“ – აღნიშნულია, რომ რუსეთის რეაქციულ საეკლესიო პოლიტიკას, ქართველ სასულიერო პირებთან ერთად, წინ აღუდგა XIX ს-ის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული, რუსეთში განათლებამიღებული, თერგდალეულების სახელით ცნობილი ახალი თაობა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. მათი მოღვაწეობით ახალი ეტაპი იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც სათავეში ედგა 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძე. ისინი თავიანთ მოღვაწეობაში დიდ ადგილს უთ-

მობდნენ ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიის წინაშე მდგარი საჭირობოროტო საკითხების გაშუქებას, თავიანთი ლიტერატურული მოღვაწეობით თუ პრაქტიკული საქმიანობით ამხელდნენ ცარიზმის ანტიქართულ საეკლესიო პოლიტიკას, რომელიც ქართველ ერს სულიერი გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა.

თერგდალეულებმა თავიანთ ეროვნულ პროგრამაში ქართული ეკლესიის უფლებების დაცვას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს. 1861 წელს ი. ჭავჭავაძე ქართველ საზოგადოებას აფრთხილებდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათავან – ენა, მამული, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“.

თერგდალეულები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველების – ქართველი კათოლიკეების, ქართველი მაჰმადიანების და გრიგორიანელი ქართველების მიძიმე ხვედრს, რომელთა მდგომარეობა რუსეთის იმპერიის პირობებში არასახარბიელო იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ ისტორიული ბელუკულმართობის გამო, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზით, საქართველოში განდნენ არამართლმადიდებელი ქართველები. რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, მათი ეროვნული ვინაობა საფრთხის წინაშე დადგა. რუსეთის რეაქციულმა ძალებმა კარგად გამოიყენეს ქართველთა სარწმუნოებრივი განსხვავება მათი ასიმილაციისა და ერთმანეთთან დაპირისპირებისათვის. ისინი დამპყრობელმა არაქართველებად გამოაცხადა და შეეცადა მათ მოწყვეტას ერთიანი ქართული ეროვნული სხეულიდან. ასეთ პირობებში მყოფ არამართლმადიდებელ ქართველებს ქომაგად თერგდალეულები დაუდგნენ და დაიწყეს მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათ-

ვის ბრძოლა. არამართლმადიდებელი ქართველები-სადმი ზრუნვა თერგდალეულთა ეროვნული პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო. მათ დაინახეს საშიშროება, რომ სარწმუნოებრივი განსხვავება და მისგან გამოწვეული მიძიმე შედეგები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაქუცმაცებას იწვევდა. საჭირო იყო სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველთა ერთიანი ეროვნული დროშის ქვეშ გაერთიანება. თერგდალეულთა და ქართველ სასულიერო პირთა მიერ გატარებულმა ფრთხილმა ეროვნულ-სარწმუნოებრივმა პოლიტიკამ სათანადო ნაყოფი გამოიღო: ამდღა მათში ეროვნული თვითშეგნება და სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად, ისინი ქართველთა ერთიანი ოჯახის წევრები გახდნენ.

თერგდალეულები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საკითხს. მათ ხმა აღიმადღეს რუსეთის სასულიერო უწყების წინააღმდეგ, როცა, XIX საუკუნის 70-იან წლებში, ქართულ ენას საფრთხე დაემუქრა. საქართველოს საეგზარქოსოს ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, 1879 წელს ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით შექმნილმა „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დაარსა უფასო სასწავლებლები, სადაც სწავლება, სახელმწიფოს დაქვემდებარებულ სასწავლებლებისაგან განსხვავებით, ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

**IV თავის III პარაგრაფში** - „ქართველი საზოგადოების ბრძოლა საეკლესიო სიწმინდეთა შესანარჩუნებლად“ – ნაჩვენებია, რომ XIX ს. მეორე ნახევრიდან მოწინავე ქართველი საზოგადოება და ქართველი სამღვდლოება აქტიურად იბრძოდა იმ ძველი საეკ-



ლესიო ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების შესანარჩუნებლად, რომელსაც ეგზარქოსობის პერიოდში გაქრობის საფრთხე ემუქრებოდა. უპირველესი ყურადღება მათ ქართულ საგალობლებს დაუთმეს. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ძველი ქართული საგალობლები გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს ეგზარქოსებს სურდათ, წირვალოცვისას სლავური საგალობლების შემოღება და ქართულის განდევნა. ნაწილობრივ ამას მიაღწიეს იქ, სადაც არაქართული და შერეული მრევლი იყო, მაგრამ ქართულ სამრევლოებში, სლავურ გალობასთან ერთად, ქართულიც დატოვეს. თუმცა, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ უძველესი ქართული საგალობლების ეროვნული თვითმყოფადობა დაკარგულიყო. ამას გარდა, სასულიერო სასწავლებლებში საგალობლების სწავლებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ქართული გალობის ბედი ეგზარქოსების ნებასურვილზე იყო დამოკიდებული. ხშირად ხდებოდა მისი ამოღება სასწავლო პროგრამიდან. უსახსრობის გამო დაიშალა პროფესიონალ ქართველ მგალობელთა გუნდები. ამ საქმიანობას მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტი პირები მისდევდნენ. რუსეთის სასულიერო ხელისუფალნი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდნენ ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენისათვის. 1860 წელს ქართველი საზოგადოების ინიციატივით დაარსდა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი“, რომლის მიზანი იყო საგალობლების ნოტებზე გადაღება, მისი პოპულარიზაცია და დაბეჭდვა. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ქართული საგალობლების შენარჩუნება. საზოგადოე-

ბამ მუშაობა 1879 წლიდან გააქტიურა, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. მისი დაფინანსებით, თბილისის სამუსიკო სკოლის დირექტორმა ი. იპოლიტოვ-ივანოვმა და ძველი ქართული გალობის უბადლო შემსრულებელმა ვ. კარბელაშვილმა ნოტებზე გადაიღეს ქართლ-კახური საგალობლები. კომისიის მოწონების შემდეგ, ალექსანდრე ეპისკოპოსის დაფინანსებით 1899 წელს გამოიცა ი. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ გადაღებული ნოტები, ხოლო 1897-1898 წწ. ვ. კარბელაშვილმა საკუთარი ხარჯით დაბეჭდა საგალობლების ქართლურ-კახური კილო - „მწუხრი“ და „ცისკარი“.

დასავლეთ საქართველოში ქართული საგალობლების აღდგენას დიდი ამაგი დასდო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ. მისი მატერიალური შემწევობით, პროფესიონალმა მუსიკოსმა ფილიმონ ქორიძემ იმერეთსა და გურიაში ძველი ქართული საგალობლები გადაიღო ნოტებზე.

ამავე პერიოდში, ქართველმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში არსებულ საეკლესიო სიძველეებსა და ძველი ქართული ხელნაწერების დაცვას. მათი ფიზიკური გადარჩენის მიზნით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, დაიწყო ზრუნვა საეკლესიო მუზეუმის დაარსებისათვის, სადაც თავი უნდა მოეყარა „საეკლესიო ნაშთებს“. ამ საქმის ინიციატორი იყო ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც 1873 წელს დახმარებისათვის მიმართა რუსეთის საიმპერატორო კარის მეცნიერებათა აკადემიას. მათგან მხარდაჭერისა და თანხმობის მიუხედავად, იმდროინდელი ეგზარქოსებისაგან ხელის შეშლის გამო, თბილისის სიონის ტაძართან საეკლეს-

სიო მუზეუმი დაარსდა მოგვიანებით, 1889 წელს. თავისი არსებობის მანძილზე (1889-1921 წწ.) საეკლესიო მუზეუმმა დიდი როლი შეასრულა არა მარტო ძველი ქართული ხელნაწერებისა და საეკლესიო სიწმინდეების გადარჩენაში, არამედ იგი ერთგვარ სამეცნიერო ცენტრადაც იქცა. მუზეუმის გრიფით გამოქვეყნდა ორ ათეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მუზეუმში დაცული მასალებით სარგებლობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერებიც.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევას. ამ მხრივ დიდად იღვაწა მიქაელ (გობრონ) საბინინმა, რომელმაც 1877 წელს რუსულ ენაზე გამოსცა საქართველოს ეკლესიის ისტორია უძველესი პერიოდიდან VI საუკუნემდე. მანვე რუსულ და ქართულ ენებზე გამოაქვეყნა ქართველ წმინდანთა ცხოვრება. 1886 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნდა მოსე ჯანაშიელის „საქართველოს საეკლესიო ისტორია“, რომელიც სამრევლო სკოლების სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. ამავე პერიოდში, რუსულ და ქართულ პერიოდულ პრესაში საინტერესო მასალები ქვეყნდებოდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ. პუბლიკაციების მიზანი იყო, ქართველ ხალხს არ დაეკარგა ეგზარქოსობის დროს მივიწყებული საქართველოს ეკლესიის ისტორიული წარსული.

**V თავში** - „ქართველი საზოგადოების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის“ - ნაჩვენებია, რომ 1905-07 წლების რევოლუციის დროს ეროვნული ძალების გამოფხიზლებასთან ერთად ქართველმა სასულიერო პირებმა აქტიური ბრძოლა დაიწყეს უკანონოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. რევოლუციის პერიოდში ავტოკეფალისტთა მოძრაობა ეროვნულ

ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა და მან პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.

არაერთგვაროვანი იყო პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ. მართალია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი ათეისტურ პოზიციაზე იდგა, მაგრამ პარტია მთლიანად მხარს უჭერდა ავტოკეფალისტებს, რადგან ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვება მათ პოლიტიკურ პლატფორმას შეესატყვისებოდა. ამავე პარტიაში შემავალი ფრაქციული ჯგუფი, მომავალი ეროვნულ-დემოკრატიები კი აქტიურ მონაწილეობასღებულობდნენ მისთვის ბრძოლაში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთა (ბოლშევიკები და მენშევიკები) ათეისტურ პოზიციაზე იდგნენ და ეკლესიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი პრესის მეშვეობით აკრიტიკებდნენ რელიგიის მსახურებს, ხოლო ავტოკეფალისტთა მიმდევრებს დამცირავად მოიხსენებდნენ. ხალხის გათვიცნობიერების მიზნით, 1905-1907 წლებში გამოქვეყნდა კირიონ საძაგლიშვილის, კალისტრატე ცინცაძის, ალ. ცაგარელის, მ. კელენჯერიძის და სხვათა შრომები.

ავტოკეფალისტთა მხარეზე იბრძოდნენ ქართველი საზოგადოების ნაწილი: ი. ჭავჭავაძე, ა. ჯორჯაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი და სხვ. ავტოკეფალიის მოთხოვნით მათ რამდენჯერმე მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალს ი. ვორონცოვ-დაშკოვს, რომელმაც მათ კანონიერ მოთხოვნას დუმილით უპასუხა.

რევოლუციის შიშით და ქართველი საზოგადოების დაუინებელი მოთხოვნის გამო იმპერატორის ბრძანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უნდა გადაეწყვიტა რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. მანამდე კი 1906 წელს სინოდთან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ განიხილა საქართვე-

ლოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები, რომელშიც კირიონთან და ლეონიდესთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ნ. მარი, აღ. ცაგარელი, აღ. ხახანაშვილი. ზოგიერთი რუსი სწავლულიც უჭერდა მხარს ქართველთა მოთხოვნას, მაგალითად პროფ. ნ. დურნოვო ხშირად აქვეყნებდა რუსულ პრესაში მასალებს საქართველოს ეკლესიის უფლებების შესახებ. წინასაეკლესიო კრების სათათბირომ ქართველი ერისა და სამღვდელოების კანონიერი მოთხოვნა უარყო, რადგან მასში სეპარატიზმი დაინახა.

რეაქციის პერიოდში (1907-1910) ავტოკეფალისტები დიდ შევიწროვებას განიცდიდნენ. ეპისკოპოსი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია ეგზარქოს ნიკონის მკველლობის ბრალდებით შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. მართალია, შემდგომ ისინი გამართლდნენ, მაგრამ მათზე მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა. კირიონის უფლებების დაცვის საქმეში დიდი როლი შეასრულა ვ. ჩერქეზიშვილმა.

ამავე პერიოდში საზოგადოებისა და სამღვდელოების მცირე ნაწილს სურდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება რომის პაპის დახმარებით. სანაცვლოდ ისინი მზად იყვნენ უნიის გაფორმებაზეც. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა. ისინი დაუკავშირდნენ რომში მოღვაწე მ. თამარაშვილს და მისი მეშვეობით იმედი ჰქონდათ, რომ წარმატებას მიაღწევდნენ. ამ პროცესებში ჩართული ყოფილა აკაკი წერეთელიც. აღნიშნულმა განზრახვამ განსორციელება ვერ ჰპოვა იმის შიშით, რომ უნიის შემთხვევაში საქართველოს ეკლესიას რუსეთი არ დაუბრუნებდა ეკლესია-მონასტრებს და კუთვნილ ქონებას.

ქართველმა სამღვდელოებამ ვ. ჩერქეზიშვილის მეშვეობით 1910 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო

პატრიარქს მიმართვა გაუგზავნა, რათა მას დახმარება აღმოეჩინა ავტოკეფალიის აღდგენაში. იგი გულისყურით მოკიდებია ქართველთა თხოვნას. რუსეთის ხელისუფალთა დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას უკანონოდ მიიჩნევდა.

ავტოკეფალისტთა მოძრაობამ XX ს. 10-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი უკვე დიდი ტრიბუნიდან მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. 1912 წლის 13 დეკემბერს მე-4 სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან დეპუტატმა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან ვ. გელოვანმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. კოკოვცევის პასუხად, რომელმაც უდიერად მოიხსენია ქართველი სასულიერო პირები, განაცხადა: „ქართველი სამღვდელოების მიზანთა მიზანს ქართული ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობა შეადგენს“. ცოტა უფრო ადრე, 1912 წლის 6 მარტს მე-3 სახელმწიფო სათათბიროს 85-ე სხდომაზე კი სოციალ-დემოკრატმა ე. გეგუჭკორმა მართალია მხარი არ დაუჭირა ქართველი სამღვდელოების მოთხოვნას ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, მაგრამ მომხრე იყო სინდისის თავისუფლებისა. თავის გამოსვლაში მან მკაცრად ამხილა რუსეთის სინოდის ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკა.

რუსეთის ხელისუფლებას ავტოკეფალისტთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ სურდა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია მოეხდინა. ახალი პროექტით საქართველოს საეგზარქოსოს ნაცვლად უნდა შექმნილიყო კავკასიის სამიტროპოლიტო. ქართველმა საზოგადოებამ საეგზარქოსოს რეორგანიზაციის განხორციელების მიზანი კარგად გაიცნობიერა. კავკასიის სამიტროპოლიოს შემოღებით გაქრებოდა საქართველოს ხსენებაც. ქართველ ხალხის წინააღმდეგობის გამო ხელისუფლებამ

აღნიშნული გეგმა ვერ განახორციელდა.

1916 წლიდან ავტოკეფალისტთა მოძრაობა გააქტიურდა. მართალია, ეგზარქოსი პლატონი მათ მიმართ მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ დაწყებული მოძრაობის შეჩერება მას უკვე აღარ შეეძლო. ქართველი საზოგადოების ბრძოლამ სათანადო შედეგი გამოიღო. მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ 1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც იყო წინაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. ავტოკეფალიის აღდგენამ სულიერად მოამზადა ქართველი ხალხი თავისუფლებისათვის.

### **დასკვნაში შეჯამებულია კვლევის ძირითადი შედეგები:**

1. ჯერ კიდევ, სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე, რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს ეკლესიას.

2. რუსი მოხელეები ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობისთანავე აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის, მაგრამ იმდროინდელი ეკლესიის მწყემსმთავრის ანტონ II-ის დიპლომატიის წყალობით ეკლესიამ 10 წლის განმავლობაში შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

3. ავტოკეფალიაგაუქმებული საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციაში დიდი როლი შეასრულა სასულიერო დიკასტერიამ და საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ.

4. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის საწყის ეტაპზე დამკვიდრდა ახალი საეკლესიო თანამდებობები: ეგზარქოსი, ვიკარ-ეპისკოპოსი, ბლალოჩინი და სხვ.

5. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია განხორციელდა რამდენიმე ეტაპად.

6. რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა საქართველოს

ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას, რაც ცარიზმმა XIX ს. პირველ ნახევარში კიდევ განახორციელა.

7. ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად საეკლესიო შემოსავლების ზუსტი რაოდენობა ვერ დადგინდა, რამაც გარკვეული სიძნელეები შექმნა საეკლესიო მმართველობაში.

8. საქართველოს ეგზარქოსები, როგორც სახელმწიფოს ბუროკრატი მოხელეები, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გატარებას უწყობდნენ ხელს.

9. ქართველმა სასულიერო პირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყველა გამოსვლაში.

10. ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მოიშალა ქართული სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია და მის მაგივრად შემოღებული იქნა სლავური წეს-განგება.

11. თერგდალეულებმა თავიანთ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ავტოკეფალია წართმეული საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვას. მათვე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში.

12. ქართველმა საზოგადოებამ დიდად იზრუნა საქართველოს ეკლესიის სიწმინდეების გადარჩენისათვის. ამ მიზნით დ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით დაარსდა საეკლესიო მუზეუმი.

13. XX ს. დასაწყისში დაწყებულ ავტოკეფალისტთა მოძრაობაში ერთსულოვნება არ ყოფილა. ავტოკეფალისტთა მცირე ნაწილი რომის კათოლიკურ სამყაროსთან უნიის მომხრე იყო, ზოგი იმედს კონსტანტინოპოლის პატრიარქზე ამყარებდა, ზოგი კი ხელსაყრელ დროს ელოდა მის მისაღწევად.

14. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლამ საერთაშორისო მასშტაბის ხასიათი მიიღო რაშიც დიდი როლი შეასრულა ვ. ჩერქეზიშვილმა და მ. წერეთელმა.



**დისერტაციის ძირითადი დებულებანი და  
დასკვნები გადმოცემულია შემდეგ პუბლიკაციებში:**

1. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „რელიგია“, №11-12, 1997, გვ. 45-64.

2. ილია ჭავჭავაძე და ქართველი კათოლიკენი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 1999, გვ. 190-197.

3. ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის ტრაგედია და ქართველი სამღვდელოება, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, I, 1999, გვ. 65-85.

4. წამებული ბერი – ბესარიონ ფავლენიშვილი, ჟურნ. „რელიგია“, 1999, №7-9, გვ. 77-86.

5. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 2000, გვ. 50-69.

6. კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) შემოქმედებითი მოღვაწეობის ისტორიიდან, „ანალები“, №1, 2000, გვ. 37-42.

7. ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში, ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია, თბ., 2001, გვ. 173-202.

8. აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, V, თბ., 2003, გვ. 89-97.

9. ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი, ანალები, 2002, №1, გვ. 41-46.

10. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II

(ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2002, გვ. 1-200. მონოგრაფია.

11. ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა და მისი შედეგები (XIX ს. II ნახევარი), „რელიგია“, 2003, №1-2-3; გვ. 11-21; №4-5-6, გვ. 27-48.

12. ექვთიმე თაყაიშვილის დვაწლი საქართველოს ეკლესიის წინაშე, რელიგია, 2004, №1-2-3, გვ. 22-30.

13. საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VI, თბ., 2003, გვ. 219-222.

14. საქართველოს ეგზარქოსის, ვარლამ ერისთავის, მოღვაწეობის ისტორიიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული მიძღვნილი ვ. გაბაშვილის 90 წლისთავისადმი, თბ., 2003, გვ. 101-213.

15. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ., 2003, გვ. 1-116, მონოგრაფია.

16. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 102-108.

17. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების ისტორიიდან, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, II, თბ., 2004, II, გვ. 164-194.

18. რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2004, გვ. 110-121.

19. ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 41-48.

20. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიიდან, საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქრისტიანობა, წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა შინაარსები, 2005 წლის 25-26 ნოემბერი, გვ. 50-51.

